

იმერეთის რეგიონში ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენიშვნების ანგარიშში ასახვის სტატუსი

| | შენიშვნა | ანგარიშში ასახვის / გათვალისწინების სტატუსი |
|----|---|---|
| 1. | სკოპინგის ანგარიშის სათაური „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი“ საჭიროებს კორექტირებას, ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს - წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციას; | სკოპინგის ანგარიშის სათაურია: „ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა იმერეთის რეგიონში“. „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი“ არის პროექტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ის მომზადდა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, პროექტის დასახელება წაიშალა სატიტულო ფურცლიდან და დარჩა მხოლოდ ანგარიშის სათაური. |
| 2. | ნარჩენების რაოდენობის პროგნოზის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, საპროგნოზო მაჩვენებლები უნდა მოიცავდეს 20 წლის განმავლობაში მოსალოდნელი ნარჩენების რაოდენობის გამოთვლა/ანგარიშს და მოცემული უნდა იქნეს მოსალოდნელი ნარჩენების დაზუსტებული რაოდენობა (მაგ: სკოპინგის მითითებულია, როგორც 1 745 000 ტ, ისე 1 740 000 ტ). მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაცია თითოეულ რეგიონში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობის შესახებ. ამასთან, ვინაიდან, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის მე-17 პუნქტის საფუძველზე, | გათვალისწინებულია თავებში 3.5.1.1 და 3.3.1 20 წლის მანძილზე ობიექტზე განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობაა 1 745 000 ტონა. დღე-ღამეში განთავსებული ნარჩენების რაოდენობა - დაახლოებით 240 ტონა. |

| | | |
|----|---|---|
| | მოცემული უნდა იქნეს დღე-ღამის (24 სთ) განმავლობაში მოსალოდნელი-განსათავსებელი ნარჩენების რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია; | |
| 3. | მნიშვნელოვანია დაზუსტდეს რეგიონებში ნარჩენების შეგროვების და საპროექტო ობიექტამდე მიწოდების სქემის შესახებ ინფორმაცია. მათ შორის, დაზუსტებას საჭიროებს გადამტვირთი სადგურ(ებ)ის შესახებ (არსებობის შემთხვევაში) ინფორმაცია. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში უნდა აისახოს ნარჩენების მართვის გეგმების შესახებ ინფორმაცია ყველა იმ მუნიციპალიტეტისთვის, რომელსაც მოემსახურება საპროექტო ობიექტი; | ინფორმაცია გადამტვირთავი სადგურების შესახებ დამატებულია თავში 3.2. გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ინფორმაცია სამიზნე მუნიციპალიტეტების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებიდან, რომლებიც ამჟამად განახლების პროცესშია. |
| 4. | დაზუსტებას საჭიროებს ნარჩენების ტრანსპორტირების, სამომრავო მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით) ინფორმაცია. ამასთან, მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს დასახლებულ პუნქტ(ებ)ში ნარჩენების გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის გადაადგილების შესაბამისი პირობები, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომრავო გზის მორწყვა, დახურული ძარა; | ინფორმაცია ნარჩენების ტრანსპორტირების შესახებ დამატებულია თავში 3.2. ნარჩენების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ზემოქმედების შერბილების ღონისძიებები წარმოდგენილია ცხრილში 6.6 (პუნქტი 1). უფრო დეტალური ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანგარიშში, რომელიც შესაბამისობაში იქნება მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის განახლებულ გეგმებთან. |
| 5. | დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ტექნოლოგიური პროცესის/ციკლის შესახებ, შესაბამისი თანმიმდევრობით - ნარჩენების მიღებიდან მის განთავსებამდე განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერით. მათ შორის, ინფორმაცია ნარჩენების ინსპექტირების ზონის და | სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია პროექტის ზოგადი აღწერა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-8 მუხლის შესაბამისად. |

| | | |
|----|---|--|
| | აღნიშნულ ზონაში გათვალისწინებული ღონისძიებების, შემომავალი ნარჩენების კონტროლის შესახებ; | დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ანგარიშში და ასევე, ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების გეგმაში (რომელიც წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ანგარიშთან ერთად). |
| 6. | დაზუსტებას საჭიროებს - უჯრედ(ებ)იდან გამონაჟონი წყლების მიმდები საპროექტო რეზერვუარები, პროექტის სხვადასხვა ეტაპებზე, რამდენად უზრუნველყოფს წყლების მოსალოდნელი მოცულობის შეკავებას უჯრედ(ებ)იდან გამონაჟონის სავარაუდო მოცულობის მითითებით); | <p>გათვალისწინებულია. ინფორმაცია დამატებულია 3.5.3.4 თავში.</p> <p>ჯერ-ჯერობით არ არის მომზადებული პროექტის დეტალური დიზაინი. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ანგარიშში.</p> |
| 7. | დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გამონაჟონი წყლების გაწმენდის მეთოდის და გამწმენდი სისტემის შემადგენელი ელემენტის შესახებ, შესაბამისი პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემის მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი იქნეს გამონაჟონი წყლების გაწმენდის დროს წარმოქმნილი ლექის მართვის შესახებ ინფორმაცია; | <p>გათვალისწინებულია. ინფორმაცია დამატებულია 3.5.3.4 თავში.</p> <p>ამ ეტაპზე წარმოდგენილია პროექტის ზოგადი აღწერა. ჯერ-ჯერობით არ არის მომზადებული პროექტის დეტალური დიზაინი. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ანგარიშში.</p> |
| 8. | დასაზუსტებელია ინფორმაცია ნარჩენების გადაფარვისთვის გამოყენებული მასალის, მისი ეფექტურობის და გადაფარვის სიხშირის შესახებ; | <p>ინფორმაცია დამატებულია თავში 3.5.3.8.</p> <p>ამ ეტაპზე წარმოდგენილია პროექტის ზოგადი აღწერა (გადასაფარი მასალის დაახლოებითი მოცულობა მითითებულია თავში 3.5.3.2).</p> |

| | | |
|-----|---|---|
| | | დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ანგარიშში და თანდართულ ნარჩენების განთავსების ობიექტის ოპერირების გეგმაში. |
| 9. | ამტვერების პრევენციის მიზნით - მშრალ ამინდებში, უჯრედების მუშა უბანზე ნარჩენების ზედაპირის დასველების/მორწყვის და აღნიშნული მიზნით გაწმენდილი გამონაჟონი წყლის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას; | ნარჩენების განთავსების შესახებ ზოგადი ინფორმაცია დამატებულია თავში 3.5.3.8. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილია ცხრილში 6.6 (პუნქტი 1). დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზმ-ს ანგარიშში. |
| 10. | სკოპინგის ანგარიშის მიხედვით „ობიექტი მდებარეობს ფრინველების ფრენის არეალიდან 8 კმ-ში“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დამატებით განმარტებას, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს რა იგულისხმება „ფრინველების ფრენის არეალში“. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ობიექტზე ფრინველების მოზიდვის პრევენციის მიზნით გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ; | გასწორებულია თარგმანის ხარვეზი. იგულისხმება პირდაპირი მანძილი ობიექტიდან ქუთაისამდე (8 კმ). არ არის კავშირი ფრინველთა არეალთან. ცხრილში 6.5 მე-7 პუნქტში (ეკოსისტემები / ბიომრავალფეროვნება) აღნიშნულია რომ „განხორციელდება ღონისძიებები ადგილზე ფრინველთა და ცხოველთა აქტივობის შესაძლო ზრდის შესამცირებლად“. ასევე, მე-8 პუნქტში (აეროპორტი) აღნიშნულია, რომ ფრინველების მოზიდვის პრევენციის მიზნით გატარდება შემარბილებელი ღონისძიებები“. კონკრეტული ღონისძიებები დაზუსტდება გზმ-ს ანგარიშის მომზადების ეტაპზე და აისახება გზმ-ს ანგარიშში. |
| 11. | ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით - დაზუსტებას | სუნის შერბილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები მოცემულია ცხრილში 6.6 (პუნქტი 1). უფრო დეტალური |

| | | |
|-----|---|--|
| | <p>საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ობიექტიდან მოსალოდნელი ემისიების რაოდენობრივი, ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ. ასევე დაზუსტებას საჭიროებს ობიექტიდან სუნის გავრცელების პრევენციის მიზნით განსაზღვრული / განსაზღვრი კონკრეტული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;</p> | <p>ღონისძიებები შემუშავდება ემისიების რაოდენობრივი შეფასების შემდეგ და აისახება გზშ-ს ანგარიშში.</p> <p>ამ ეტაპზე არ არის მომზადებული პროექტის დეტალური დიზაინი, რაც აუცილებელია საპროექტო ობიექტიდან მოსალოდნელი ემისიების შესაფასებლად. გზშ-ს ეტაპზე მოხდება ემისიების შეფასება და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გამოანგარიშება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.</p> |
| 12. | <p>ნარჩენების განთავსების ობიექტზე ხანძრის გაჩენის რისკებისა და მისი მართვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას;</p> | <p>გათვალისწინებულია თავში 3.5.3.8.</p> |
| 13. | <p>დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ობიექტამდე მისასვლელი გზის, მათ შორის მისასვლელი გზის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გზის შესახებ ინფორმაცია, დაზუსტებული პარამეტრებისა და მოწყობის გეგმის მითითებით (Shp ფაილებთან ერთად);</p> | <p>გათვალისწინებულია თავში 3.4 (სურ. 3.5)</p> <p>პროექტის კონცეპტუალური დიზაინის და სკოპინგის ეტაპებზე განხილული იყო მისასვლელი გზის ორი ალტერნატივა. შეირჩევა ის ალტერნატივა, რომელიც ტრანსპორტირებისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით უფრო შესაფერისი იქნება. დაზუსტებული ინფორმაცია მისასვლელი გზის, მისი მოწყობის გარემოზე ზემოქმედების და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანგარიშში.</p> |
| 14. | <p>დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ეტაპების შესახებ ინფორმაცია, თითოეულ ეტაპის დახასიათება,</p> | <p>გათვალისწინებულია თავში 3.1</p> |

| | | |
|-----|---|--|
| | განსახორციელებელი ღონისძიებების და ვადების მითითებით; | |
| 15. | დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ან/და გრუნტის მოხსნის-დასაწყობებისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ; | <p>ინფორმაცია მოცემულია ცხრილებში 6.5 (პუნქტი 5) და 6.6 (პუნქტი 4), სადაც აღნიშნულია, რომ „ნიადაგის ნაყოფიერი ფენა უნდა მოიხსნას და შეინახოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად („ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #424 დადგენილება).</p> <p>დეტალური ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანგარიშში.</p> |
| 16. | სკოპინგის ანგარიშის მიხედვით „კონცეპტუალური დიზაინის ეტაპზე ტერიტორიაზე ტოპოგრაფიული ან გეოტექნიკური კვლევა არ განხორციელებულა“. საპროექტო ტერიტორიის გარემო პირობებისა და მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო ანალიზისთვის წარმოდგენილ უნდა იქნეს ტერიტორიის გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული მნიშვნელოვანია - ვინაიდან საკითხის დაზუსტება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ობიექტის საპროექტო მახასიათებლების (დიზაინის) ცვლილებასთან, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იქნება გარემოზე დამატებით ზემოქმედებასთან; | <p>ფონური ინფორმაცია მოცემულია თავებში 3.5.3.1 და 4.4.2.</p> <p>ჯერ-ჯერობით სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია წინასწარი ინფორმაცია არსებული მონაცემების და წინასწარი კვლევის საფუძველზე. ამჟამად მიმდინარეობს გეოტექნიკური კვლევის დაგეგმვა. კვლევის შედეგად მიღებული დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანგარიშში.</p> |

| | | |
|-----|---|---|
| 17. | დაზუსტებას საჭიროებს მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ობიექტის წყალმომარაგებისა და წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის ღონისძიებების შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების და საბურავების საწმენდ უბანზე წარმოქმნილი წყლების მართვის საკითხების შესახებ; | ჯერ-ჯერობით არ არის მომზადებული პროექტის დეტალური დიზაინი. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია. აღნიშნული საკითხები დეტალურად აისახება გზშ-ს ანგარიშში. |
| 18. | დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ქვესადგურის შესახებ. მათ შორის, ინფორმაცია მისი განთავსების ადგილის და პირობების, ქვესადგურის ფიზიკური მახასიათებლების (საპროექტო ძაბვა და შემადგენელი ელემენტები) შესახებ. ასევე ინფორმაცია ქვესადგურის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ; | ზოგადი ინფორმაცია დამატებულია თავში 3.5.2.3. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანგარიშში, პროექტის დეტალური დიზაინის შემუშავების შემდეგ. |
| 19. | დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ბენზინგასამართი სადგურის შესახებ, მათ შორის ნავთობპროდუქტების საცავ(ებ)ის (ტიპი, მოცულობა), განთავსების პირობების და მათი მოწყობა-ექსპლუატაციით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. როგორც თქვენთვის ცნობილია ნავთობპროდუქტის საცავის მოწყობა-ექსპლუატაცია წარმოდგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების სფეროს; | ზოგადი ინფორმაცია დამატებულია თავში 3.5.2.3. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ს ანგარიშში, პროექტის დეტალური დიზაინის შემუშავების შემდეგ. |
| 20. | საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 30 ჰა-ს. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის მიწის დანიშნულების/სტატუსის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, როგორც თქვენთვის ცნობილია 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის | გათვალისწინებულია. ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მიწის დანიშნულების / სტატუსის შესახებ მოცემულია თავში 4.13.1 |

| | | |
|-----|--|---|
| | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების სფეროს; | საპროექტო ტერიტორიის მიწის დანიშნულების ცვლილება განხორციელდება კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. |
| 21. | დაზუსტებას საჭიროებს სკოპინგის ანგარიშის 6.6 ქვეთავი, სადაც საუბარია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშზე (ESIA) და წარმოსადგენ ინფორმაციაზე. როგორც თქვენთვის ცნობილია სკოპინგის ანგარიშში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის (EIA) მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ; | გათვალისწინებულია. ინფორმაცია დამატებულია თავში 6.6. |
| 22. | სკოპინგის ანგარიშის მიხედვით „სავალდებულოა, რომ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულ იქნას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას/დაკორექტირებას; | გასწორებულია თარგმანის ხარვეზი. |
| 23. | სკოპინგის ანგარიში (გვ 18-55) მოიცავს ინფორმაციას (არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების შედარებითი ანალიზი), რომლის სკოპინგის ანგარიშში ასახვის მიზნობრიობა საჭიროებს დაზუსტებას. აღნიშნული ინფორმაციის ნაცვლად, წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნული კანონმდებლობის (2015 წლის 11 აგვისტოს №421 | ცხრილში მოცემული ტექსტი გასწორებულია #421 დადგენილებაში მოცემული ტერმინოლოგიის შესაბამისად. აღნიშნულ ცხრილის (ცხრილი 2.2) მიზანი არ არის საერთაშორისო და საქართველოში არსებული სტანდარტების შედარება. აქ მოცემულია როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით (დადგენილება #421) დადგენილი სტანდარტები, ხოლო ბოლო სვეტში მოცემულია საპროექტო ობიექტის შესაბამისობა აღნიშნულ |

| | | |
|-----|---|---|
| | <p>დადგენილება) მოთხოვნებთან საპროექტო ობიექტის შესაბამისობის ანალიზის შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში მოცემული ტერმინები და ინფორმაცია სრულად უნდა შეესაბამებოდეს N421 დადგენილებას (ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე).</p> | <p>სტანდარტებთან. საერთაშორისო სტანდარტები წარმოდგენილია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მოთხოვნიდან გამომდინარე. კერძოდ, ბანკის მოთხოვნის მიხედვით უნდა შესრულდეს აღნიშნული სტანდარტებიდან უმკაცრესი. მინიმალური მოთხოვნაა ეროვნული სტანდარტის დაკმაყოფილება.</p> |
| 24. | <p>დაზუსტებას საჭიროებს თერჯოლის მუნიციპალიტეტში არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე 2018 წლის 24 აპრილს N2-278 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სტატუსის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ - ვინაიდან, აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობა (როგორც სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი საქმიანობა), ასევე ეხება იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისთვის რეგიონალური ნაგავსაყრელის მოწყობა-ექსპლუატაციას, მიზანშეწონილია სკოპინგის დასკვნის წარმოდგენამდე მოხდეს აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სტატუსის დაზუსტება, მათ შორის წარმოდგენილი იქნეს მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.</p> | <p>გათვალისწინებულია.</p> <p>შესაბამისი განცხადება წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.</p> |